

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2014 წლის 10 მარტის =49 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა =1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2014 წლის 10 მარტის =49 სხდომაზე სტუ-ს რექტორმა, აკადემიკოსმა არჩილ ფრანგიშვილმა წარმოადგინა საკითხი აგრარული და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის თანამშრომელთა მოწვევის შესახებ. აკადემიური საბჭოს 2014 წლის 4 მარტის დადგენილება №1093.

სენატმა დაადგინა: მოწვეულ იქნეს სტუ-ს აგრარული და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტზე ახალი ნიხრით, სრულ განაკვეთზე:

- 1) მიქავა ნიკა – აგრონომია, პროფ.(ა) 400 სთ. ანაზღაურებით, 1სთ. – 27ლ.
- 2) სარჯველაძე იოსები – აგრონომია, პროფ. (ა) 400 სთ. ანაზღაურებით, 1სთ. – 27ლ.
- 3) ორჯანელი ნაილი – მეცხოველეობა, პროფ.(ა) 400 სთ. ანაზღაურებით, 1სთ. – 27ლ.
- 4) ნატროშვილი ნათია – მეცხოველეობა, პროფ.(ა) 400 სთ. ანაზღაურებით, 1სთ. – 27ლ.
- 5) ცეციტინიძე გალია – მეცხოველეობა, პროფ. (ა) 400 სთ. ანაზღაურებით, 1სთ. – 27ლ.
- 6) ბზიავა კოტე – ნიადაგის და წყლის რესურსების ინჟინერია, პროფ.(ა) 400 სთ. ანაზღაურებით, 1სთ. – 27ლ.
- 7) ცინცაძე მანანა – მეცხოველეობა, პროფ. (ს) 400 სთ. ანაზღაურებით, 1სთ. – 36ლ.
- 8) ფიცხალაიშვილი თენგიზი – მეცხოველეობა, პროფ. (ს) 400 სთ. ანაზღაურებით, 1სთ. – 36ლ.

სტუ-ს სენატის

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2014 წლის 10 მარტის =49 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა =2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2014 წლის 10 მარტის =49 სხდომაზე სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ს 2014 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ.

სენატმა დაადგინა: დამტკიცდეს სტუ-ს 2014 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები, კერძოდ:

1. 2013 წლის 30 დეკემბრის ხელშეკრულებებით (№01/162-89, №01/162-90, №09-1/61/84), რომელიც გაფორმებულია სტუ-სა და სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოს“ შორის და ითვალისწინებს ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამითა და ბიბლიოთეკის (საუნივერსიტეტო და/ან ფაკულტეტის) განვითარების მიზნით დაფინანსებას, გათვალისწინებულია 8 576 371 ლარი, საიდანაც 3 494 313 ლარი შემოსავალში უნდა აისახოს გარდამავალი ნაშთის სახით (ნაშთი პერიოდის დასაწყისში - სახელმწიფო ბიუჯეტი), ხოლო 5 082 058 ლარი მიმდინარე წლის შემოსავალში. შესაბამისად, ხარჯვითი ნაწილი გაიწეროს ხელშეკრულებების დანართებიდან გამომდინარე ეკონომიკური კლასიფიკაციის შესაბამის მუხლებში.
2. შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდსა და სტუ-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე, სადაც სტუ გახლავთ III საანგარიშო პერიოდში 8 სამეცნიერო პროექტის თანადამფინანსებელი თანხით 125 200 ლარი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთი ბიუჯეტის შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლიდან 125 200 ლარის გადატანილ იქნეს სუბსიდიის მუხლში და გადაირიცხოს გრანტების მიზნობრივ ანგარიშებზე.
3. სტუ-ს საშემდუღებლო მასალების წარმოებასა და ექსპერტიზის საერთაშორისო სასწავლო-სამეცნიერო ცენტრისათვის სტუ-ს მიერ საქართველოს ალუმინატის ნედლეულის საბადოების საშემდუღებლო მასალების წარმოებაში გამოყენების

შესაძლებლობის დადგენის მიზნით, კვლევისა და ექსპერტიზის მომსახურების შესყიდვისათვის გამოიყოს 22 440 ლარი და, შესაბამისად, ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლიდან 22 440 ლარი გადატანილ იქნეს საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული სხვა დანარჩენი ხარჯების მუხლში, რომელიც არ არის კლასიფიცირებული.

4. 2013 წლის გამოცხადებულ შიდა საუნივერსიტეტო კონკურსში გამარჯვებული სამეცნიერო პროექტის №14 (ხელმძღვანელი თამარ კაჭარავა) ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში სამეცნიერო ხარჯებიდან 220 ლარი და საკონსულტაციო, სანოტარო, თარჯიმნისა და თარგმანის მომსახურების ხარჯებიდან 350 ლარი. სულ ჯამში - 570 ლარი გადატანილ იქნეს შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში.
5. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსავლების ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წილიდან, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლიდან 23 870 ლარი გადატანილ იქნეს: მივლინების ხარჯებში - 2 000 ლარი; კავშირგაბმულობის ხარჯებში - 1 320 ლარი; საწვავ-საპოხი მასალების შეძენის ხარჯებში - 200 ლარი; ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიმდინარე რემონტისა და სათადარიგო ნაწილების შეძენის ხარჯებში - 1 800 ლარი; სასტამბო და საგამომცემლო ხარჯებში - 5 000 ლარი; ელ.ენერჯის ხარჯებში - 2 000 ლარი; წყლის ხარჯებში - 1 500 ლარი; საკანცელარიო ხარჯებში - 1 000 ლარი; საოფისე ტექნიკის შეძენის ხარჯებში - 500 ლარი; ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების შეძენის ხარჯებში - 1 500 ლარი; ავტოსატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის ხარჯებში - 800 ლარი; საფოსტო მომსახურების ხარჯებში - 1 000 ლარი; რეკლამის ხარჯებში - 250 ლარი; სამეცნიერო ხარჯებში - 1 500 ლარი; კომპიუტერული მოწყობილობების შეძენის ხარჯებში - 3 500 ლარი.
6. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში მცირეფასიანი საოფისე ტექნიკისა და ინვენტარ-მოწყობილობების შეძენის ხარჯებიდან 220 ლარი გადატანილ იქნეს შრომის ანაზღაურების პრემიის მუხლში.
7. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 30 იანვრის №134 ბრძანების საფუძველზე, რომელიც ეხება „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ პროგრამის ფარგლებში დაფინანსებას, მოიცავს 2 თვეს (იანვარი, თებერვალი) და შეადგენს 191 700 ლარს. აღნიშნული თანხით გაიზარდოს ნაერთი ბიუჯეტის

საშემოსავლო ნაწილი და ხარჯვითი ნაწილი გაიწეროს სხვა ხარჯების სტიპენდიების მუხლში.

8. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და ვილნიუსის უნივერსიტეტს შორის 2014 წლის 13 თებერვალს გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, სტუ-ს ანგარიშზე 2014 წლის 28 თებერვალს ჩაირიცხა 4 332 ევრო, რაც ეროვნულ ვალუტაში, დღევანდელი კურსით, შეადგენს 10 396 ლარს და განკუთვნილია მიზნობრივად სტუ-ს ლიტვური ენისა და კულტურის ცენტრისათვის რბილი ავეჯის შესაძენად. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნაერთი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი გაიზარდოს 10 396 ლარით, შესაბამისად გაიზარდოს ადმინისტრაციისა და ადმინისტრირების საშემოსავლო ნაწილი და ხარჯვითი ნაწილი გაიწეროს: 9 396 ლარი არაფინანსური აქტივების, ელ.მოწყობილობები, რადიო, სატელევიზიო და საკომუნიკაციო აპარატურა, ოპტიკური ხელსაწყოები, ავეჯის მუხლში, ხოლო 1 000 ლარი ოფისის ხარჯების, საოფისე ტექნიკისა და ინვენტარ-მოწყობილობების შეძენის ხარჯების მუხლში.
9. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2014 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი გაიზარდოს 8 778 467 ლარით, შესაბამისად - ხარჯვითი ნაწილიც.

სტუ-ს სენატის

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2014 წლის 10 მარტის =49 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა =3

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2014 წლის 10 მარტის =49 სხდომაზე სტუ-ს ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის მენეჯერმა, პროფ. ვახტანგ საბახტარიშვილმა წარმოადგინა საკითხი გორის რაიონის სოფელ ტირძნისის საჯარო სკოლისთვის სტუ-ს ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის ბალანსზე არსებული JI3C-5 ტიპის ლაბორატორიული სტენდის დროებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ.

სენატმა დაადგინა: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 85-ე მუხლის თანახმად მიეცეს თანხმობა სტუ-ს ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტს საგანმანათლებლო საქმიანობის მიზნით დროებით სარგებლობაში გადასცეს JI3C-5 ტიპის ლაბორატორიული სტენდი გორის რაიონის სოფელ ტირძნისის საჯარო სკოლას.

სტუ-ს სენატის

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2014 წლის 10 მარტის =49 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა =4

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2014 წლის 10 მარტის =49 სხდომაზე პროფ. მარინა ბრელიძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-ს ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტთან თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე „AUTODESK-ის საგანმანათლებლო-საპროექტო-კვლევითი ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2014 წლის 4 მარტის დადგენილება №1109.

სენატმა დაადგინა:

1. დამტკიცდეს სტუ-ს ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტთან თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე „AUTODESK-ის საგანმანათლებლო-საპროექტო-კვლევითი ცენტრის“ შექმნა და მისი დებულება.
2. სენატის მომდევნო სხდომაზე მოსმენილ იქნეს დეტალური ანგარიში ცენტრის დაფინანსებისა და ფუნქციონირების შესახებ.

სტუ-ს სენატის

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოვიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2014 წლის 10 მარტის =49 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა =5

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2014 წლის 10 მარტის =49 სხდომაზე სპიკერმა, პროფ. ჯემალ გახოკიძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-ს სენატის წევრებისთვის: პროფ. თენგიზ მახარაშვილისათვის, სტუდენტების: ნოდარ ჩაჩხიანის, ლადო გოთუას, ნიკოლოზ შავერდაშვილის, თამარ ბუზიაშვილისა და ლევან კერესელიძისათვის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ.

სენატმა დაადგინა: სენატის წევრებს პროფ. თენგიზ მახარაშვილს და სტუდენტებს: ნოდარ ჩაჩხიანს, ლადო გოთუას, ნიკოლოზ შავერდაშვილს, თამარ ბუზიაშვილს და ლევან კერესელიძეს შეუწყდეთ უფლებამოსილება.

სტუ-ს სენატის

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2014 წლის 10 მარტის =49 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა =6

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2014 წლის 10 მარტის =49 სხდომაზე სპიკერმა, პროფ. ჯემალ გახოკიძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-ს სენატში ახალი წევრებისთვის უფლებამოსილების ცნობის შესახებ.

სენატმა დაადგინა: დამტკიცებულ იქნეს პროფესორების: ჯემალ ბერიძის, ნინო მსხილაძის, მალხაზ ხუციშვილის, რომეო გოგალაძის, თემურ ჯაგოდნიშვილის, ზურაბ ვაშაკიძის, გენადი იაშვილის, გიორგი გოგიჩაიშვილის, შოთა ზაზაშვილის, მედეა თევდორაძის, ოლღა ხუციშვილის და სტუდენტების: საბა კახიანის, ცოტნე ინწკირველის, ალექსანდრე ბაბუნაშვილის, ნიკა ცხადაძის, ანი ტატანაშვილის, გიორგი სისვაძის, ვახტანგ თოფურიას, ანა ფუტკარაძის, გიორგი მუსერიძის, ნინო კახეთელიძის და ვასილ ლომიძის სენატის წევრებად ცნობის უფლებამოსილება.

სტუ-ს სენატის

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2014 წლის 10 მარტის =49 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა =7

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2014 წლის 10 მარტის =49 სხდომაზე სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი მოიჯარეებისთვის: შპს "ადვესა", შპს "ფალავანი", შპს "აოთდორ.ჯი", შპს "ჯი ეს კომპანი" და შპს "კავკასიის უნივერსიტეტი" საიჯარო დავალიანების დაფარვის გრაფიკის გაფორმების შესახებ.

სენატმა დაადგინა: აღნიშნულ მოიჯარეებს დაუდგინდეთ დავალიანების დაფარვის ყოველთვიური გრაფიკი და იმ შემთხვევაში თუ ორჯერ მოხდება ამ გრაფიკით გათვალისწინებული პირობის დარღვევა, ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა მიიღოს კანონით გათვალისწინებული ზომები.

სტუ-ს სენატის

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე